

შპს „TV LUX GEORGIA“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „TV LUX GEORGIA“

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5-6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ზოგადი ინფორმაცია	9
2.	კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3.	ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
4.	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
5.	ბალანსის შემდგომი მოვლენები	20

შპს TV LUX GEORGIA ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	182,481	194,023
არამატერიალური აქტივები	2	1,995	2,237
სულ გრძელვადიანი აქტივები		184,476	196,260
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	3	453,064	396,949
გაცემული სესხები	4	269,382	212,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	978,662	1,070,728
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,004,882	793,186
სულ მიმდინარე აქტივები		2,705,990	2,473,733
სულ აქტივები		2,890,466	2,669,993
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება		2,339,369	2,236,764
სულ საკუთარი კაპიტალი		2,339,369	2,236,764
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7	152,634	169,975
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	398,463	263,254
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		551,097	433,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,890,466	2,669,993

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	პენიშვნა	12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	182,481	194,023
არამატერიალური აქტივები	2	1,995	2,237
სულ გრძელვადიანი აქტივები		184,476	196,260
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	3	453,064	396,949
გაცემული სესხები	4	269,382	212,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	978,662	1,070,728
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,004,882	793,186
სულ მიმდინარე აქტივები		2,705,990	2,473,733
სულ აქტივები		2,890,466	2,669,993
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		-	-
დაგროვილი მოგება		2,339,369	2,236,764
სულ საკუთარი კაპიტალი		2,339,369	2,236,764
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
ანარიცხები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	7	152,634	169,975
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	398,463	263,254
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		551,097	433,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,890,466	2,669,993

*(ერთეული ლარი)

დირექტორი გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი ინგა ჯანიაშვილი



შპს TV LUX GEORGIA		შენიშვნა	2020	2019
სრული შემოსავლის ანგარიშგება				
ამონაგები	9	4,127,972	2,799,416	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,551,752)	(2,010,909)	
საერთო მოგება		576,220	788,507	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(640,472)	(826,616)	
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(43,923)	(12,459)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(108,175)	(50,568)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		6,475	665	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(840)	(57)	
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		210,848	57,406	
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	-	
ფინანსური ხარჯი		-	-	
ფინანსური შემოსავალი		21,421	17,006	
მოგება დაბეგვრამდე		129,729	24,452	
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-	
წმინდა მოგება/ზარალი		129,729	24,452	
სხვა სრული შემოსავალი		-	-	
სულ სული შემოსავალი		129,729	24,452	

*(ერთეული ლარი)

შპს TV LUX GEORGIA	შენიშვნა	2020	2019
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	9	4,127,972	2,799,416
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,551,752)	(2,010,909)
საერთო მოგება		576,220	788,507
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(640,472)	(826,616)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები		(43,923)	(12,459)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(108,175)	(50,568)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		6,475	665
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(840)	(57)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		210,848	57,406
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური შემოსავალი		21,421	17,006
მოგება დაბეგვრამდე		129,729	24,452
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		129,729	24,452
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		129,729	24,452

*(ერთეული ლარი)

დირექტორი გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი ინგა ჯანიაშვილი



	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	-	-	2,261,640	2,261,640
წლის წმინდა მოგება			24,452	24,452
დივიდენდი			(49,328)	(49,328)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	-	2,236,764	2,236,764
წლის წმინდა მოგება			129,729	129,729
დივიდენდი			(27,124)	(27,124)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	-	2,339,369	2,339,369

*(ერთეული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2019	-	-	2,261,640	2,261,640
წლის წმინდა მოგება			24,452	24,452
დივიდენდი			(49,328)	(49,328)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	-	2,236,764	2,236,764
წლის წმინდა მოგება			129,729	129,729
დივიდენდი			(27,124)	(27,124)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	-	2,339,369	2,339,369

*(ერთეული ლარი)

დირექტორი გიორგი მაისურაძე

მთ.ბუღალტერი ინგა ჯანიაშვილი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „TV LUX GEORGIA“ (404431021) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ტელესაკომუნიკაციო საქმიანობა, კერძოდ ხმისა და გამოსახულების მიმღები, ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატურის მონტაჟი და მომსახურება. კომპანია დაფუძნდა 2012 წლის 30 ოქტომბერს. დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 31 ოქტომბერს. კომპანიას ყავს ორი დამფუძნებელი. ოლექსანდრ შოსტაკოვსკი (უკრაინის მოქალაქე პ/ნ 3087218370) 50% და გიორგი მაისურაძე (საქართველოს მოქალაქე პ/ნ 01024039681) 50%, ეს უკანასკნელი აგრეთვე წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ., N57, ბ. N56

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გივი კარტოზიას 8, კორპ 7, ბინა 3

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს

ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული მესამე ფინანსური ანგარიშგება.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა და მიიღო დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში.

2.4 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020, 2019, წლის 31 დეკემბერსა და 2019 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2019 წლის 1 იანვრისათვის	2.6727	3.0597

2.5 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20-30 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	6-14 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.6 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ

შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს საადრიცხვო პროგრამებს.

2.7 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.8 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.9 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შენიშვნა 1 (ძირითადი საშუალებები)

ძირითადი საშუალებები 2020, 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავთომობილები და სხვა ინვენტარი	ავტო- ტრანსპორტი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2019	198,510	25,979	13,439	23,355	261,283
შემოსვლა		7388	338		7,726
გასვლა					0
ისტორიული ღირებულება 31.12.2020	198,510	33,367	13,777	23,355	269,009
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	29,777	10,455	7,877	19,151	67,260
ცვეთა	9925	5108	1899	2336	19,268
გასულების დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	39,702	15,563	9,776	21,487	86,528
წმინდა საბალანსო ღირებულება					
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	168,733	15,524	5,562	4,204	194,023
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	158,808	17,804	4,001	1,868	182,481

შენიშვნა 2 (არამატერიალური აქტივები)

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2019	2422	2422
შემოსვლა	0	0
გასვლა		0
დასაშვები ღირებულება 31.12.2020	2422	2422
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	185	185
ცვეთა	242	242
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	427	427
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	2237	2237
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	1995	1995

შენიშვნა 3 (მარაგები)

მარაგები	2020	2019
ნედლეული და მასალები	453,064	396,949
სულ	453,064	396,949

შენიშვნა 4 (გაცემული სესხები)

გაცემული სესხები	2020	2019
გაცემული სესხი	230,643	194,432
მისაღები პროცენტი	38,739	18,438
სულ	269,382	212,870

შენიშვნა 5 (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	853,089	764,388
გადახდილი ავანსები	125,573	306,340
სულ	978,662	1,070,728

შენიშვნა 6 (ფული და ფულის ექვივალენტები)

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	2020	2019
ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები	1,004,882	793,186
სულ	1,004,882	793,186

შენიშვნა 7 (მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან)

მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან	2020	2019
მიღებული ავანსები	152,634	169,975
სულ	152,634	169,975

შენიშვნა 8 (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	386,441	242,720
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	12,022	20,534
სულ	398,463	263,254

შენიშვნა 9 (ამონაგები)

ამონაგები	2020	2019
რეალიზაცია	3,906,399	2,622,302
შემოსავალი მომსახურებიდან	221,572	177,114
სულ	4,127,972	2,799,416

შენიშვნა 10 (საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
შრომის ანაზღაურება	456,501	586,629
საიჯარო ქირა	28,580	40,783
დაზღვევის ხარჯები	16,002	15,071
ცვეთა და ამორტიზაცია	19,511	18,614
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	119,879	165,519
სულ	640,472	826,616

4. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წლის მდგომარეობით ტრანზაქციები მოცემულია ქვემოთ:

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	12,022	20,534
სულ	12,022	20,534

2020 წელს დაკავშირებული მხარისგან არ მომხდარა საქონლის შეძენა. წინა წლებში შეძენილი საქონლისთვის გადახდილია 10,000 ლარი, საკურსო სხვაობამ შეადგინა 1,488 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულება შეადგენდა 20,534 ლარს, შესაბამისად ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 12,022 ლარს.

ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	112,450	202,540
სულ	112,450	202,540

5. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენებს:

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო მასშტაბით გავრცელებული ვირუსის COVID-19 (კორონავირუსი) გამო, კვლავ გარკვეულწილად შეზღუდული იყო კომპანიის ფუნქციონირება. წლის განმავლობაში კომპანიას მოუწია რამოდენიმეჯერ ე.წ „დისტანციურ რეჟიმზე“ გადასვლა. აგრეთვე, რადგან კომპანიის ერთ-ერთი მიზნობრივი კატეგორიაა სატუმრო ბიზნესი და 2020 წლის განმავლობაში ტურიზმის სფერო სერიოზულად შეიზღუდა. ამან გავლენა მოახდინა ჩვენი კომპანიის საქმიანობაზეც, რაც უარყოფითად აისახა კომპანიის ფულად ნაკადებსა და შემოსავალზე. აგრეთვე 2020 წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევები, შესაბამისად ესეც შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2021 წლის 24 სექტემბერს